ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3160568

ნომერი: AR1488099

თარიღი : 20.03.2017

გაცემის თარიღი : 22.03.2017

გაცნობის თარიღი : 22.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ გაი პ/ნ 01008058955
- ცხვედაძის 32

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 20 მარტის AR1488099 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2013 წლის 10 იანვრის №490681 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას, კერძოდ, საპროექტო ობიექტის ფუნქციაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირებას და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას. პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.007.047) ქ. თბილისის მერის 2013 წლის 18 თებერვლის №233 გადაწყვეტილებით მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრი განისაზღვრა კ2 =1.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის შესაბამისად კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება დასაშვებია ერთჯერადად. ვინაიდან პარამეტრების მომატების შემთხვევაში ნაკვეთზე ვრცელდება მომატების პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრის მომატების საკითხი ვერ განიხილება. რაც შეეხება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 29 მარტის #4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მიხედვით მოთხოვნილი ფუნქცია საცხოვრებელ ზონა 2-ში (სზ-2) საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, საკითხი შესაბამისი ქალაქგეგმარებითი დასაბუთების საფუძველზე უნდა განიხილოს ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭომ. დამატებით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება უნდა მოითხოვოს ადმინისტრაციული აქტის მფლობელმა ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ, იურიდიული პირის შემთხვევაში უფლებამოსილმა პირმა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 20 მარტის AR1488099 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge